საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის
ა ნ გ ა რ ი შ ი
(X.2012 – IX.2013 წ.წ.)

კომიტეტის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტისა და კომიტეტის დებულებით განსაზღვრულ უფლება-მოვალეობათა ფარგლებში.

კომიტეტი თავისი კომპეტენციის ფარგლებში:

- ამზადებს საკანონმდებლო საკითხებს;
- ხელს უწყობს პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებას;
- აკონტროლებს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და მთავრობის საქმიანობას.

კომიტეტის ამოცანებია: ქვეყნის აგრარული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების განსაზღვრა; აგრარული რეფორმების; სასურსათო უზრუნველყოფის; მიწის რესურსების; აგრარული განათლებისა და მეცნიერების; აგრომომსახურებისა და ფერმერთა საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის შემუშავება; აგრარულ სექტორში რეფორმების გატარების; აგრარულ-სამრეწველო და სასურსათო კომპლექსის პოტენციალის სრულად გამოყენების, მისი დარგების აღორძინებისა და დაჩქარებული განვითარების ხელშეწყობა.

კომიტეტის სხდომების სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში აგრარულ საკითხთა კომიტეტის მიერ კანონშემოქმედებითი საზედამხედველო ფუნქციების განხორციელების მიზნით გაიმართა კომიტეტის 26 სხდომა, მათ შორის ერთი გასვლითი. განხილულია 109 საკითხი. აქედან 87 კანონშემოქმედებითი და 22 საზედამხედველო საქმიანობის კუთხით. კომიტეტის მიერ ჩატარებულია 11 სამუშაო შეხვედრა.

კომიტეტმა თავის საქმიანობა დაიწყო დიდი გასვლითი შეხვედრით საქართველოს გლეხებთან და ფერმერებთან და იმ პრობლემების განხილვით, რომელიც დაგროვდა ბოლო 9 წლის განმავლობაში. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის წევრებმა სამუშაო შეხვედრები გამართეს რეგიონებში. კომიტეტის წევრების მიერ სოფლის მოსახლეობასთან, ფერმერებთან, აგრარულ სექტორში

დასაქმებულ პირებთან შეხვედრების დროს წამოჭრილი საკითხები იყო კომიტეტის სხდომებზე განხილვის ერთ-ერთი ძირითადი თემა.

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში კომიტეტში შემუშავდა 7 კანონპროექტი, მათ შორის 3 კანონპროექტი შემუშავდა პალამენტის წევრის გიგლა აგულაშვილის საკანონმდებლო ინიციატივით.

კომიტეტის კანონშემოქმედებითი საქმიანობის ანალიზი

კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივით შემუშავებულია შემდეგი კანონპროექტები: **„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“ და მისგან გამომდინარე საქართველოს კანონის პროექტები: „საქართველოს საგადასახადო კოდექსში“ ცვლილების შეტანის თაობაზე“; „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.** აღნიშნული კანონპროექტების პაკეტი მიღებული იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ.

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“

კანონის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის ხელშეწყობა და ამით სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების გაზრდა და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

საქართველოს სოფლის მეურნეობა ქვეყნის ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. მას დიდი როლი აკისრია ქვეყნის მთლიანი ეროვნული პროდუქტის ფორმირებაში, ასევე მნიშვნელოვანია ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და სოფლად მოქალაქეების დასაქმების თვალსაზრისით.

ქვეყნის განვითარების ამ მნიშვნელოვან ეტაპზე, როდესაც სოფლის მეურნეობის აღორძინება ერთ-ერთი პრიორიტეტი ხდება, სულ უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის კოოპერატივების როლი. მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება ცხადყოფს, თუ რამხელა როლი შეარულა სოფლის მეურნეობის აღორძინებისთვის კოოპერაციების განვითარებულმა სისტემამ იგი არა მარტო მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, არამედ დასაქმებისა და უმუშევრობის ლიკვიდაციის ერთ-ერთ საშუალებად იქცა. მაგალითისთვის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ 2012 წელი კოოპერატივების წლად გამოაცხადა და შეიმუშავა კოოპერატივების განვითარების პროგრამა 2020 წლამდე. კოოპერატორთა მსოფლიო ალიანსის 300 ყველაზე დიდი კოოპერატივების წლიურმა ბრუნვამ 2 ტრილიონ აშშ დოლარს გადააჭარბა. მსოფლიოს სხვადასხვა წამყვანი ქვეყანა სოფლის მეურნეობის სექტორთან მიმართებაში მნიშვნელოვანი

დახმარებებით გამოირჩევა. გლობალური ეკონომიკის პირობებში, როდესაც კონკურენტი ქვეყნის სოფლის მეურნეობა სახელმწიფო დახმარებას განიცდის და ძლიერ სუბსიდირებულია, სპეციალური საპასუხო ზომების გარეშე ძნელია მასათან კონკურენცია. კანონი ქმნის გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის ხელისშემწყობ პირობებს. საქართველო ევროკავშირთან დაახლოების პოლიტიკის ერთგული გამტარებელია და „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ" საქართველოს კანონი ერთ-ერთი საკანონმდებლო აქტია, რომელიც ქვეყანას ევროკავშირის სოფლის მეურნეობის სპეციფიკასთან უკეთ ჰარმონიზების შესაძლებლობას მისცემს.

საქართველოს საგადასაახო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ"

კანონის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის გარკვეული საგადასახადო შეღავათების მინიჭება, კერძოდ:

მოგების გადასახადისაგან განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ მიღებული გრანტი და კოოპერატივის წევრის შენატანი (პაი);

- 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგება;
- 2017 წლის 1 იანვრამდე ერთობლივ შემოსავალში ასახვას არ დაექვემდებარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივსა და მის წევრთა (მეპაიეთა) შორის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებული, საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება ან/და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევა;
- 2017 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრის მიერ ამ კოოპერატივისაგან მიღებული დივიდენდები გადახდის წყაროსთან არ დაიბეგრება;
- ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ მისი წევრებისაგან (მეპაიეებისაგან) პაის სახით მიღებული 5 ჰექტრამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები;
- 2017 წლის 1 იანვრამდე ქონების გადასახადისაგან განთავისუფლებულია სასოფლო-სამეურნეო საკუთრებაში არსებული, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ქონება და ამავე საქმიანობისათვის მასზე ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება;

„გრანტების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"

კანონის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებზე რომლებსაც აღნიშნული სტატუსი მინიჭებული აქვთ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" საქართვლოს კანონის შესაბამისად და რომლებიც გრანტის სახით მიიღებენ მიზნობრივ სახსრებს ფულადი, ნატურალური ან/და მომსახურების გაწევის ფორმით, გავრცელდეს „საქართველოს საგადასახადო კოდექსით" გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო შეღავათები.

„მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე"

კანონის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები დარეგულირდეს ამ კანონითა და „სასოფლო სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად;

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის წევრების ზურაბ ტყემალაძის და გიგლა აგულაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის** თაობაზე.

აღნიშნული კანონის მიზანია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების სტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის იმ ნაწილის მოქმედების შეჩერება, რომელიც ითვალისწინებს უცხოელებისა და უცხო ქვეყნაში რეგისტრირებული იურიდიული პირებისთვის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების საკუთრების უფლების მინიჭებას. ამ უფლების გარკვეული ვადით შეზღუდვის მიზანს წარმოადგენს სახელმწიფოს საჯარო ინტერესი, უზრუნველყოს მიწის რაციონალური გამოყენების საფუძველზე ორგანიზებული მეურნეობა და აგრარული სტრუქტურის გაუმჯობესება, ასევე, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებამდე და საკადასტრო მონაცემების მოწესრიგებამდე, თავიდან იქნეს აცილებული მიწების არარაციონალურად გასხვისება და იაფი მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ მასობრივი შესყიდვა. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს პარლამენტის წევრი გიგლა აგულაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი **„სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ"**. ცვლილება შევიდა გარდამავალ და დასკვნით დებულებებში, რომლის თანახმადაც კოდექსის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში საქართველოს მთავრობას უნდა მიეღო დადგენილებები: ბიოწარმოებისა და არაპროდუქტიული ცხოველების შესახებ. ასევე ცვლილება შევიდა დასკვნითი დებულებების მე-4 ნაწილში, კერძოდ: „4. ამ კოდექსის 38-ე მუხლის პირველი მე-5 ნაწილები ამოქმედდება 2014 წლის 1 იანვრიდან. ბიოწარმოების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილება მიღებულია 2013 წლის 30 ივლისს, რომელიც განსაზღვრავს ბიომეურნეობის მართვის, ბიოპროდუქტის წარმოების, გადამუშავების, ნიშანდების, ეტიკეტირების, დისტრიბუციის, რეალიზაციის, ასევე ნებაყოფლობითი სერტიფიკაციის წესსა და მასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. მისი მიზანია ხელი შეუწყოს საქართველოში ბიომრავალფეროვნების შენარჩუნებას, გარემოს დაცვას, ბუნებრივი რესურსების ეფექტიან გამოყენებას, მომხმარებელთა ინტერესების დაცვასა და ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდას, ასევე იმ ოპერატორის დაცვა, რომელიც, ამ წესების

შესაბამისად, აწარმოებს ბიოპროდუქტს (ან ისეთ პროდუქტს, რომლის ეტიკეტზე/ნიშანდებაში გამოყენებულია სიტყვათა ნებისმიერი კომბინაცია - „ორგანული“, „ეკო“, „ბიო“), რათა სხვა პროდუქტს არ მიენიჭოს ბიოპროდუქტის სტატუსი.

პარლამენტის წევრების ზურაბ ტყემალაძის და გიგლა აგულაშვილის საკანონმდებლო ინიციატივის წესით შემუშავდა საქართველოს კანონის პროექტი **„სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე.** მისი მიღების მიზანია დროებით შეიზღუდოს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისება მისი მიზნობრივი დანიშნულების შეცვლის საშუალებით.

აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონები, რომლებზეც კომიტეტი წარმოადგენდა წამყვან კომიტეტს:

„ნიადაგების კონსერვაციისა და ნაყოფიერების აღდგენა-გაუმჯობესების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. რომლის მიზანია „ ნიადაგის დაცვისა და ნაყოფიერების ამაღლების სახელმწიფო პროგრამის“ შემუშავების გადავადება, რომელიც მოითხოვს გარკვეულ დროს და შეეხება ნიადაგების სრულყოფილ გამიკვლევებს, ეროზიის საწინააღმდეგო ბრძოლის ღონისძიებებს, სტიქიური მოვლენებისგან დაცვას და ა.შ. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტმა მხარი დაუჭირა:

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს: **„პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“** ცვლილება შევიდა გარდამავალ დებულებებში, კერძოდ ტექნიკური რეგლამენტების ნუსხის შემუშავების, დამტკიცებისა და გამოქვეყნების ვადები გადაიწია ერთი წლით. კომიტეტმა მიზანშეწონილად მიიჩნია ზემოთაღნიშნული დადგენილებებისა და დოკუმენტების მომზადებისათვის ვადების გაგრძელება. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ **„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტს და მისგან გამომდინარე კანონპროექტთა პაკეტს.** წარმოდგენილი ცვლილებების პაკეტი, ორი სამინისტროს რეორგანიზაციის სამართლებრივ ცვლილებებს განსაზღვრავს. კერძოდ კი სახელწოდება ეცვლება გარემოს დაცვის სამინისტროს და იგი გარემოსა და

ბუნებრივი რესურსების დავის სამინისტროდ, ხოლო ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო - ენერგეტიკის სამინისტროდ გადაკეთდება. სახელწოდების შეცვლასთან ერთად, შესაბამისად იცვლება სამინისტროების სტრუქტურული და ფუნქციური მოვალეობებიც. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ რატიფიცირებისათვის წარმოდგენილ 2012 წლის 11 დეკემბერს ხელმოწერილ **„2011 წლის 1 მარტს „საქართველოსა და აზიის განვითრების ბანკს შორის დაფინასების ჩარჩო-ხელშეკრულების ცვლილებას“** რატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს - **„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“**. აღნიშნული ცვლილების მიზანი იყო საქართველოს საგადასახდო კოდექსით დადგენილი დაბეგვრისა და ადმინისტრირების მექანიზმების დახვეწა, ასევე საგადასახადო სამართალდარღვევებისათვის განსაზღვრული სანქციების ლიბერალიზაცია. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ **საქართველოს „2014-2017 წლებისთვის ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების და სახელმწიფო მინისტრების აპარატების ძირითადი მიმართულებების შესახებ“**. შენიშვნები რომელიც აღნიშნულ მიმართულებებთან გამოითქვა ფერმერთა დაზღვევას და განათლებას შეეხებოდა.

საქართველოს მთავრობის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილ საქართველოს კანონის პროექტს - **„თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, გარდა ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“** საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“. „ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიაზე პირუტყვის ძოვებასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარების მიზნით, ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებისთვის 2003 წელს გადმოცემული 6127 ჰა ფართობიდან, ლაგოდეხის ნაკრძალზე მიერთებული რეგულარულად გამოყენებადი საძოვრების 2538 ჰა ტერიტორიას და პირუტყვის გადასარეკი ბილიკების 8 ჰა ტერიტორიას (სულ 2546 ჰა), შეეცვალა ნაკრძალის სტატუსი და მიენიჭა აღკვეთილის სტატუსი“, დაცული ტერიტორიის კატეგორიის შეცვლით შესაძლებელი იქნება ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიების ალპურ საძოვრებზე აქტიური მენეჯმენტის განხორციელება მათი აღდგენის მიზნით. მიღებულია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საზედამხედველო საქმიანობის კუთხით განხილულია შემდეგი საკითხები:

- საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის საშემოდგომო სესიის საზედამხედველო საქმიანობის გეგმა;
  საკითხის წარმომდგენი აგარარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - გიგლა აგულაშვილი

  ინფორმაცია:
- ქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროზე, საქართველოს კანონების გარდამავალი დებულებებით განსაზღვრული დავალებების შესრულების მდგომარეობის შესახებ";
- ქვეყანაში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის გაწეული საქმიანობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;
- ქვეყანაში შექმნილი ეპიზოოტიური მდგომარეობის შესახებ;
- მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ;
  საკითხების წარმომდგენი სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე დავით შერვაშიძე

- საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის საკანონმდებლო ინიციატივების განხილვა;
  საკითხის წარმომდგენი აგარარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - გიგლა აგულაშვილი

- საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის 2013 წლის საგაზაფხულო სესიის საზედამხედველო საქმიანობის გეგმის განხილვა;
  საკითხის წარმომდგენი აგარარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე - გიგლა აგულაშვილი

  ინფორმაცია:
- საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის შესახებ;
- სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლების შესახებ;
- სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია - მოდერნიზაციის" შესახებ;
  საკითხების წარმომდგენი სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე დავით შერვაშიძე

  ინფორმაცია:
- სოფლად ჩატარებული საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ (შედეგების განხილვა);
  საკითხის წარმომდგენი სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე დავით შერვაშიძე

ინფორმაცია:

- შიდა ქართლში, საოკუპაციო საზღვრისპირის მიმდებარე სოფლებში არსებული ვითარების თაობაზე.
- სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების რეალიზაციის მიმდინარეობს შესახებ.

საკითხის წარმომდგენი: სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე დავით შერვაშიძე და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი

ინფორმაცია:

- აგროსექტორის განვითარების ხელშეწყობის პროექტის მიმდინარეობის შესახებ

საკითხის წარმომდგენი სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე - ილია კვიტაიშვილი

ინფორმაცია:

- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიშის თაობაზე. (6 თვის შედეგები) :
- ქვეყანაში სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფისათვის გაწეული საქმიანობისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ;
- ქვეყანაში შექმნილი ეპიზოოტიური მდგომარეობის შესახებ;
- ვეტერინარიაში მიმდინარე რეფორმების შესახებ;
- მცენარეთა მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ.
- ელექტრონული ჯანდაცვის პროექტის" შესახებ;

საკითხი წარმოადგინეს:

სსიპ „სურსათის ეროვნული სააგენტოს" უფროსმა - ზურაბ ჩეკურაშვილმა

ჯანდაცვის სისტემის განმტკიცების პროგრამის ხელმძღვანელმა - ალეკო ტურძილაძემ

ინფორმაცია:

- ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში (6 თვის შედეგები);
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის მიერ გაწეული საქმიანობის ანგარიში (6 თვის შედეგები);

საკითხი წარმოადგინეს: სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ - ლევან დავითაშვილმა

სსიპ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საბორატორიის დირექტორმა - გივი მერაბიშვილმა

კომიტეტის სამუშაო შეხვედრები

გარდა კანონშემოქმედებითი საქმიანობისა, აგრარულ საკითხთა კომიტეტი მუშაობდა აგრარულ სექტორში განსახორციელებელ რიგ მნიშვნელოვან პროექტებზე. სამუშაო პროცესი წარიმართა გლეხებთან და ფერმერებთან, სამინისტროებთან, სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დარგობრივ ასოციაციებთან, სამეწარმეო სექტორთან, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, სამეცნიერო ინსტიტუტებთან და ცალკეულ ექსპერტებთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტის საქმიანობამ მოიცვა მრავალი მნიშვნელოვანი სფერო. შედგა 11 სამუშაო შეხვედრა სხვადასხვა ფორმატით. კომიტეტის სამუშაო შეხვედრებზე ხდებოდა დარგის სპეციალისტებთან პრობლემების იდენტიფიცირება და ისახებოდა მათი მოგვარების გზები, რათა შემდგომ როგორც საკანონმდებლო ორგანომ და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, როგორც აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ერთობლივად გადაიჭრას არსებული პრობლემები.

კომიტეტმა რამდენიმე სამუშაო შეხვედრა მიუძღვნა კომიტეტის საკანონმდებლო ინიციატივით შემუშავებული კანონპროექტის „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ", კანონპროექტის განხილვას, სამუშაო შეხვედრებში აქტიურად იყო ჩართული: გლეხები და ფერმერები, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, სამეცნიერო სექტორი, ცალკეული ექსპეტები. კანოპროექტის ასეთი ფორმატით განხილვის მიზანი იყო, რომ იგი გამხდარიყო ფართო კონსენსუსის საგანი და მას ის სახე მიეღო, რაც ქვეყანის აგრარულ სექტორს წაადგებოდა. სამუშაო შეხვედრაში მონაწილეთა მხრიდან გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების დიდი ნაწილი ასახულ იქნა კანონში. მთლიანობაში კანონში ჩაიდო ისეთი მექანიზმები, რაც წაახალისებს კოოპერირების პროცესს მთელს ქვეყანაში.

საქართველოს მთავრობის 2014–2017 წლების პრიორიტეტები და პროგრამები სოფლის მეურნეობის სფეროში – ამ თემაზე გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც საფინანსო–საბიუჯეტო კომიტეტთან თანამშრომლობითა და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით შედგა. სამუშაო შეხვედრაზე პარლამენტის წევრების გარდა, მოწვეული იყვნენ საქართველოს მთავრობის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, შესაბამის სფეროში მოქმედი არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მათი მონაწილეობით გაიმართა საქმიანი დისკუსია იმის თაობაზე, თუ რამდენად აქტუალურია ქვეყნის აგარული სექტორისათვის ზოგიერთი პროგრამის სახელმწიფო დაფინანსებით უზრუნველყოფა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ბიუჯეტის განხილვის ადრეულ ეტაპზე საზოგადოების ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს პრიორიტეტების განსაზღვრისათვის. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებების, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა თანამშრომლობა ბიუჯეტის ფორმირების ადრეულ ეტაპზე იმის გარანტიას იძლევა, რომ პროგრამულ დაფინანსებაში მოხვდება ყველა ის პრიორიტეტი, რომელიც დღეისათვის აქტუალურია.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწასთან დაკავშირებული პრობლემები იყო განხილვის თემა აგრარულ საკითხთა კომიტეტის სამუშაო შეხვედრაზე, რომელსაც კომიტეტის წევრებთან ერთად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენელები, მეცნიერები, ამ სექტორში დასაქმებული არასამთავრობო ორგანიზაციები და მოწვეული ექსპერტები ესწრებოდნენ. განხილული იყო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმის დადგენილება, რომელიც შეეხებოდა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების" კანონის კონსტიტუციასთან შესაბამისობის საკითხს. შეხვედრაზე გამოიკვეთა, აუცილებელობა „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულები მიწის საკუთრების შესახებ" საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე. სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული მიწის ფონდის თემა და ზოგადად პოლიტიკა ამ მიმართულებით.

კომიტეტმა სამუშაო შეხვედრა გამართა იმერეთის რეგიონში სურსათის უვნებლობის კუთხით შექმნილი მდგომარეობის და სასაკლაოს განვითარების თაობაზე. სამუშაო შეხვედრას ესწრებოდნენ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ასევე ხორცის ადგილობრივი რეალიზატორები. შეხვედრაზე განხილული იყო რეგიონში ხორცის რეალიზებასა და მასთან დაკავშირებული სანიტარულ-ვეტერინალური საკითხები.

აგრარულ საკითხთა კომიტეტმა ფრიდრიხ ნაუმანის ფონდთან „თავისუფლებისათვის" ერთად გამართა სამუშაო შეხვედრა, მასში მონაწილეობდნენ პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და ნაუმანის ფონდის წევრები, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლები და ჰოლანდიელი ფერმერები. შეხვედრის ძირითადი მიზანი იყო - მიდგომები აგრარული პოლიტიკისა და რეფორმების მიმართ. განხილული იყო ევროპის აგრარული პოლიტიკა, სუბსიდირების, აგრარული სექტორის დაზღვევის და თანამშრომლობის საკითხები. აღინიშნა, რომ საქართველოსთვის მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობის სექტორში არსებული წარმატებული გამოცდილების გაზიარება, საქართველოში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, სწორი ორიენტირების განსაზღვრა. დაისახა შემდგომი თანამშრომლობის გეგმები.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კომიტეტის სამუშაო შეხვედრაზე იქნა განხილული საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაა. აღნიშნულ შეხვედრაზე მოწვეული იყვნენ: სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ღვინის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წარმომადგენლები, მევენახეობა - მეღვინეობაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები და ექსპერტები. განხილული იქნა შემდეგი საკითხები: ქართული საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, ქართული ღვინის პოპულარიზაცია, არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის მიზნით კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარება, მევენახეობისა და მეღვინეობის

საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან ურთიერთობების გაღრმავება და სხვა. შეხვედრაზე გამოიკვეთა სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა, რომელიც იმუშავებს ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონში განსახორციელებელ ცვლილებებზე.

საქართველოს მეცხოველეობის სექტორის განვითარებას მიეძღვნა სამუშაო შეხვედრა, რომელიც კომიტეტის, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის და „CARE საერთაშორისო კავკასიაში", ორგანიზებით გაიმართა. შეხვედრისას მიმოხილული იქნა ის პრობლემები, რომელიც ხელს უშლის დარგის განვითარებას. ასეთად რძისა და ხორცის წარმოების თანამედროვე მეთოდებში, კვებასთან დაკავშირებული საკითხების, დაავადებათა პრევენციის, დიაგნოზის დასმის დაბალი გამოცდილება დასახელდა. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სუსტია გამოცდილება პირუტყვისთვის საკვების წარმოებაში და საკვების რაციონის გათვლაში. სამუშაო შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა რძისა და ხორცის წარმოებასთან დაკავშირებულ სირთულეებზეც. წარმოდგენილი იყო თბილისის ნატურალური რძით მომარაგების გეგმა. დისკუსიის დროს გამოიკვეთა, რომ არ არსებობს საინფორმაციო ბაზა, მოშლილია ვეტერინარიის სისტემა, არის განათლების დაბალი დონე, გლეხებისთვის და მეწარმეთათვის აუცილებელია ტრეინინგების ორგანიზება.

სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა

კომიტეტი, სოფლად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წვრილ მესაკუთრეთა კოოპერირების საკითხებზე აქტიურად თანამშრომლობდა: საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობასთან (სოფლის მეურნეობის პროექტის ფარგლებში), გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობასთან საქართველოში, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციასთან (ფაო), ბრიტანულ საქველმოქმედო ორგანიზაციასთან "ოქსფამი", „CARE საერთაშორისო კავკასიაში" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან. შედგა სამუშაო შეხვედრები კომიტეტის წევრებთან, სადაც განხილულ იქნა ევროკავშირის ქვეყნების გამოცდილება. აღნიშნული სამუშაო შეხვედრების მიზანი იყო კომიტეტის წევრების უკეთ ინფორმირება სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების არსისა და სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარების კუთხით მათი მნიშვნელობის შესახებ. ამ კუთხით განხორციელებული სამუშაოების შედეგების განხილვამ კახეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, იმერეთის, მხარეში წარმატებული სასოფლო-სამეურნეო კოოპერირების მაგალითზე კიდევ უფრო აქტუალური გახადა გლეხებისა და ფერმერების კოოპერირების საკითხი.

კომიტეტის კვლევითი საქმიანობა

კომიტეტი აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტის აპარატის კვლევით დეპარტამენტთან, ქართველ და უცხოელ ექსპერტებთან. დამუშავდა დიდი მოცულობის ინფორმაცია ევროპის ქვეყნებში ფერმერთა კოოპერირების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე საკუთრების უფლების შეზღუდვის, სურსათის უვნებლობისა და ხარისხის და სხვა საკითხებზე.

საზოგადოებასთან ურთიერთობა

კომიტეტის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა მოსახლეობასთან ურთიერთობა. კომიტეტი სისტემატურად აწარმოებს მოქალაქეთა მიღებას, განიხილავს კომიტეტში შემოსულ წერილებსა და განცხადებებს. საანგარიშო პერიოდში კომიტეტის სახელზე შემოსულია 232 განცხადება, აქედან მოქალაქეთა 85, საქმიანი 147. ყველა განცხადება კომიტეტის მიერ კონტროლზეა აყვანილი, შესწავლილია, განხილულია და რეაგირების მიზნით გადაცემულია შესაბამის უწყებებისათვის.

„მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში, გლეხებისა და ფერმერებისათვის სასოფლო-სამეურნეო ბარათის დარიგებისა და გამოყენების წესთან დაკავშირებულ საკითხებზე საკითხზე კონსულტაცია (მათ შორის, სატელეფონო) გაეწია 250 მოქალაქეს.